➔ პალიატიური ზრუნვა-ცნობარი

რა არის პალიატიური ზრუნვა?

ENGAGe ESGO European Network of Gynaecological Cancer Advocacy Groups

GEORGIAN PATIENTS' UNION GPU

ეს ცნობარი დაწერილ იქნა პროფესორ კარინა დალ სტეფენსონის (დანია) მიერ, პროფესორ ანეტ ჰასენბერგის(გერმანია), ბერთი ლემლის(დანია), მარია პაპაგეორგიუს(საბერძნეთი), იკო ტოთის(უნგრეთი), პროფ. მურატ გულტეკინისა(თურქეთი) და ესრა ურკმეზის(აშშ) ჩართულობით.

ENGAGe მადლობას უხდის ავტორებს, მონაწილეებს და ENGAGe აღმასრულებელი ჯგუფის წევრებს მათი საქმიანობისა და მუდმივი ხელმისაწვდომობისათვის.

რა არის პალიატიური ზრუნვა?

პალიატიური ზრუნვა გულისხმობს ისეთი პაციენტების მოვლას, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სერიოზული დაავადება (არა მხოლოდ სიმსივნური). იგი მიზნად ისახავს ტანჯვის შემსუბუქებასა, პაციენტთა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა, უშუალოდ დაავადების განკურნება მისი ამოცანა არაა. ყველა პაციენტს აქვს უფლება სიცოცლის ბოლომდე შეინარჩუნოს ღირსება და აირიდოს ტანჯვა.

როდის საჭიროებს პაციენტი პალიატიურ ზრუნვას?

პალიატიური ზრუნვა შექმნილია სიმპტომების შესამსუბუქებლად, სიცოცხლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და შესაძლოა პაციენტმა მიიღოს იგი დაავადების ნებისმიერ სტადიაზე დიაგნოზის დასმის დღიდან ცხოვრების ბოლომდე ისეთი სიმპტომების შემთხვევაში როგორებიცაა გულისრევა, ტკივილი, დაღლილობა. მაგალითად, კიბოთი დაავადებული პაციენტი პალიატიური მოვლის პარალელურად შესაძლოა მკურნალობდეს კიდეც. ანუ, ის, რომ პალიატიური მზურველობის მიღება მხოლოდ სიცოცხლის ბოლოსაა შესაძლებელი, არ შეესაბამება სიმართლეს. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს მზარდი ტენდენცია ამ სერვისის ჩართვისა დაავადების მკურნალობის პროცესში საწყის ეტაპზევე.

კვლელები გვიჩვენებს რომ პალიატიური ზრუნვა აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, განსწავლის პაციენტებს დაავადების შესახებ, კიდე რაღაცა. მნიშვნელოვანია მისი როლი კიბოს მკურნალობისას გვერდითი მოვლენების კონტროლისთვისაც. განუკურნებელ შემთხვევებშიც კი, პალიატიური მზრუნველობით შეძლებისდაგვარად ხანგრძლივდება და მსუბუქდება პაციენტის სიცოცხლე.

პალიატიური დახმარება გაეწევათ ისეთ პაციენტებსაც, რომლებიც ჰოსპისში კვდებიან.

პალიატიური ზრუნვის სარგებელი:

- ამსუბუქებს ტკივილს და სიმპტომებს
- მოკლედ ეს არვიცი
- არ ისახავს მიზნად სიკვდილის დაჩქარებას ან შენელებას
- ეხმარება პაციენტებს იცხოვრონ მასიმალურად აქტიურად სიკვილის მომენტამდე
- ეხმარება ოჯახის წევრებს დაავადებასთან შეგუებაში
- მიზნად ისახავს სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას და დადებითი გავლენა აქვს მკურნალობის კურსზე
- შესაძლოა მისი ჩართვა დაავადებასთან ბრძოლის საწყის სტადიაზე, ისეთი ტიპის თერაპიასთან ერთად, რომელიც ემსახურება სიცოცხლის გახანგრძლივებას, მაგალითად ქიმიოთერაპიასა და რადიოთერაპიასთან შორის.

ვინ ატარებს პალიატიურ მკურნალობას?

ონკოლოგი, ექთნები და მთელი მედპერსონალი მკურნალობენ და ეხმარებიან პაციენტებს სიმპტომებისა და გვერდითი მოვლენების დაძლევაში. მაგალითად, ნიშნავენ შესაბამის მედიკამენტებს გულისრევისა თუ ტკივილის შემთხვევაში. ლიმფოდემისას კი, მიმართავენ ფიზიოთერაპიას. ყველა ეს ზემოთჩამოთვლილი აქტი პალიატიური ზრუნვაა.

შესაძლოა პაციენტს დახმარება დასჭირდეს მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ, ან იმ შემთხვევაში თუ მკურნალობა ხელმისაწვდომი არ არის. პალიატიური დახმარება უნდა გაწეულ-იქნეს კონკრეტულ სფეროში სპეციალიზირებული პერსონალის მიერ.

ზოგიერთ ქვეყანაში პალიატიურ მკურნალობას ატარებენ ის ექიმები, ექთნები და სხვა სპეციალისტები რომლებიც ონკოლოგთან ერთად მუშაობენ მკურნალობის პროცესში. ეს ვარიანტი ხელსაყრელია იმ პაციენტებისათვის, რომელთა სიმპტომებიც რთული სამართავია(მძიმე ტკივილი), აქვთ ოჯახური პრობლემები ან კომპლესური ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამ შემთხვევებში ექიმმა თავად უნდა გასწიოს პალიატიური ზრუნვის რეკომენდაცია.

როგორც წესი, ,,პალიატიური ზრუნვის ჯგუფი“ მოიცავს პალიატიური მოვლის ექიმს, ექთანსა და სოც. მუშაკს ან ფსიქოთერაპევტს. ბევრ კლინიკას გააჩნია მსგავსი ჯგუფების მომსახურების სერვისი. ზოგიერთ ქვეყანაში მობილური პალიატიური ზრუნვის ჯგუფები პაციენტებს სახლში სთავაზობენ დახმარებას და კონსულტაციას უწევენ პაციენტსა და მის ოჯახს მათ პალიატიურ საჭიროებებზე.

ლიტერატურა:

1. Temel JS, Greer JA, El-Jawahri A, et al: Effects of early integrated palliative care in patients with lung and GI cancer: A randomized clinical trial.
   J Clin Oncol 35:834-841, 2017.
2. Gaertner J, Wolf J, Voltz R.
   Early palliative care for patients with metastatic cancer.
   Curr Opin Oncol. 2012 Jul;24(4):357-62. Review.
3. Greer JA, Pirl WF, Jackson VA, Muzikansky A, Lennes IT, Heist RS, Gallagher ER, Temel JS.
   Effect of early palliative care on chemotherapy use and end-of-life care in patients with metastatic non-small-cell lung cancer.
   J Clin Oncol. 2012 Feb 1;30(4):394-400.

დამატებითი ინფორმაცია

- https://www.cancer.gov/about-cancer/advanced-cancer/care-choices/palliative-care-fact-sheet
- http://www.cancerresearchuk.org/about-cancer/cancer-in-general/treatment/palliative
- http://www.who.int/hiv/topics/palliative/PalliativeCare/en/
- https://engage.esgo.org/

ყველა ფოტო ორიგინალია და გადაღებულია მილან იუროშისა და ექიმ ივანა დოსტალოვას მიერ პრაღის ზოგადი მედიცინის ჰოსპიტალის პალიატიური ზრუნვის ცენტრში. ფოტოებზე ასახულია ნამდვილი პაციენტები და ექიმები.